

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოდიფიცირებულ და თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი

1. სტუდენტს უღიარდება შეცვლილი/გაუქმებული პროგრამით გავლილი ის სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას, სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას.

2. თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დასახელებას, ხოლო კრედიტების რაოდენობა იგივეა, შესაბამის კომისიას შეუძლია, ზოგადი ხასიათის საგანი სტუდენტს უღიაროს, როგორც შესაბამისი დარგის, სპეციალობის შესავალი, ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროგრამის საგნებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.

3. შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსი, რომლის დასახელება, შინაარსი და სწავლის შედეგები არ ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს, სტუდენტს უღიარდება, როგორც არჩევითი კრედიტი (არჩევითი კრედიტებისათვის დადგენილი ზღვრული ნორმის ფარგლებში).

4. თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და/ან სწავლის შედეგები ემთხვევა ახალი პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელებას და/ან სწავლის შედეგებს, ხოლო კრედიტების რაოდენობა ახალი პროგრამით გათვალისწინებული (თავსებადი) სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, აღნიშნული სასწავლო კურსის კრედიტები სტუდენტს უღიარდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც იყო გათვალისწინებული ძველი პროგრამით; სტუდენტს აღარ მოეთხოვება ამავე სასწავლო კურსის ფარგლებში ახალი პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი კრედიტების მოპოვება. იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება ახალი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, სტუდენტს უღიარდება იმდენი კრედიტი, რამდენიც გათვალისწინებული იყო ძველი პროგრამით.

5. იმ შემთხვევაში თუ კრედიტების აღიარების დადგენილი წესით სტუდენტს დააკლდება აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მას ეძლევა უფლება, აინაზღაუროს დანაკლისი წელიწადში 75 კრედიტის ფარგლებში (სემესტრში 35-40 კრედიტი).